

საკონსულო სამსახური უფლებამოსილია შეადგინოს და სათანადო წესით დაამოწმოს მინდობილობა(სანოტარო აქტი), რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე პირი უფლებამოსილებას ანიჭებს მეორე პირს. სანოტარო აქტის შედგენის დროს მთავარია საკონსულო თანამდებობის პირის წინაშე გამოხატულ იქნეს მინდობილობის/რწმუნებულების შედგენის ნება. მიმდობს (მარწმუნებელს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს მის მიერ გაკეთებული სანოტარო აქტი.

საკონსულო სამსახურში მინდობილობის გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მარწმუნებელი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეზიდენტი სის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

მინდობილობის/რწმუნებულების საფასურია 10 აშშ დოლარი. გადახდა ხდება მანი ორდერის (Money Order) მეშვეობით. მომსახურების მისაღებად აუცილებელია საკონსულოში გამოცხადება წინასწარ ჩაწერით.

მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- მარწმუნებლის და რწმუნებულის მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);
- მანი ორდერი.